



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

აღმოსავლეთმცოდნეობა

### **1. პროგრამის დასახელება: აღმოსავლეთმცოდნეობა**

(1. არაბისტიკა, 2. თურქოლოგია, 3. ირანისტიკა)

### **2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი**

აღმოსავლეთმცოდნეობაში (1. არაბისტიკა, 2. თურქოლოგია, 3. ირანისტიკა)

**BA in Oriental Studies (1. Arabic Studies, 2. Turkish Studies, 3. Iranian Studies)**

### **3. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი და სტრუქტურული ერთეულები:**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

### **4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (არაბული, ირანული და თურქული სამყაროები) ისტორიული და თანამედროვე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა აღმოსავლეთმცოდნეობის დარგებს აქტუალურსა და სტრატეგიულად მნიშველოვანს ხდის ჩვენი ქვეყნისათვის.

- **მიზანი:**

საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს აღმოსავლეთმცოდნე სპეციალისტები არაბისტიკის, თურქოლოგიისა და ირანისტიკის მიმართულებით, რომელთაც ექნებათ ცოდნა ერთ-ერთი აღმოსავლური (არაბული, თურქული, სპარსული) ენის, ლიტერატურის, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და ქართულ-აღმოსავლური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების განვითარების თავისებურებათა შესახებ. პროგრამა მიზნად ისახავს აგრეთვე სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაღრმავებას პრაქტიკული საქმიანობისა და შემდგომი სამაგისტრო სწავლებისათვის.

- **შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:**

აღმოსავლეთმცოდნეობის (1. არაბისტიკა, 2. თურქოლოგია, 3. ირანისტიკა) საბაკალავრო პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტს ექნება ცოდნა ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში. მახლობელი აღმოსავლეთის ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში უძველესი პერიოდიდან მოყოლებული XX საუკუნის ჩათვლით, ასევე აღმოსავლური ლიტერატურის, კულტურის, ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების სიღრმისეული ცოდნა; პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს საკომუნიკაციო კომპეტენციასა და საბაზისო

ცოდნას ერთ-ერთ აღმოსავლურ (არაბულ, თურქულ, სპარსულ) ენაში (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, მორფოსინტაქსი, სინტაქსი), უნდა შეეძლოს აღმოსავლური (არაბული, თურქული, სპარსული) ენიდან ქართულად და პირიქით საშუალო სირთულის ტექსტების თარგმნა. ღრმად უნდა ჰქონდეს გაანალიზებული აღმოსავლური (არაბული, თურქული, სპარსული) ენების შესწავლის მნიშვნელობა ქართული ენისა და კულტურის ისტორიისათვის.

- **დასაქმების სფერო:**

ბაკალავრი მზადდება აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. აღმოსავლეთმცოდნე (არაბისტი, თურქოლოგი, ირანისტი) ბაკალავრი მომზადებულია სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დაწესებულებებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტისათვის.

## **5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

საშუალო სკოლის ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლა.

## **6. პროგრამის სტრუქტურა:**

საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა 6 კატეგორიას მოიცავს:

1. საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (25 კრედიტი)
2. საფაკულტეტო არჩევითი კურსები (10 კრედიტი - 2 კურსი):
3. პროგრამის სავალდებულო კურსები (15 კრედიტი)
4. სპეციალიზაციის კურსები (105 კრედიტი)
5. პროგრამის არჩევითი კურსები (3 კურსი - 15 კრედიტი)
6. თავისუფალი კრედიტები (10 კრედიტი)

პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ./პრ./ს/	კრედი- ტთა რაოდე ნობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
<b>საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)</b>													
1	ფილოსოფიის შესავალი	3	2.0.1	5	5								
2	ენათმეცნიერების შესავალი	3	2.0.1	5	5								
3	ლიტმცოდნეობის შესავალი	3	2.0.1	5	5								
4	კლასიკური ფილოლოგია	4	2.0.2	5	5								
<b>საფაკულტეტო არჩევითი კურსები (10 კრედიტი - 2კურსი)</b>													
1	<b>საფაკულტეტო არჩევითი კურსი I (შესავალი კურსები)</b>	3	2.0.1	5	5								
	შესავალი არქეოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
2	<b>საფაკულტეტო არჩევითი კურსი II (ენები)</b>	3	0.3.0	5	5								
	ინგლისური ენა	3	0.3.0	5	5								
	გერმანული ენა	3	0.3.0	5	5								
	ფრანგული ენა	3	0.3.0	5	5								
	რუსული ენა	3	0.3.0	5	5								
	ქართული ენა( უცხოელ სტუდენტთათვის)	3	0.3.0	5	5								
	სპარსული ენა	3	0.3.0	5	5								
	თურქული ენა	3	0.3.0	5	5								
	არაბული ენა	3	0.3.0	5	5								
<b>პროგრამის სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)</b>													

1	ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია)	3	2.0.1	5			5						
2	ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობა	2	1.0.1	5								5	
3	აღმოსავლური ფოლკლორი	3	2.0.1	5			5						
4	ქართული ენა	1.5	1. 0. 0.5.	2.5		2.5							
5	ქართული ლიტერატურა	1.5	1. 0. 0.5.	2.5		2.5							
<b>პროგრამის არჩევითი კურსები (15 კრედიტი - 3 კურსი)</b>													
1	<b>არჩევითი კურსი - 1</b>	3	2.0.1	5		5							
1.1	საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიული ურთიერთობები												
1.2	ისლამური აღმოსავლეთის გენდერული საკითხები												
2	<b>არჩევითი კურსი - 2</b>	3	2.0.1	5			5						
2.1	აღმოსავლური კულტურის ისტორია												
2.2	ქართულ-აღმოსავლური ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები												
3	<b>არჩევითი კურსი - 3</b>	3	2.0.1	5				5					
3.1	დასავლურ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობები												
3.2	ისლამური აღმოსავლეთის ხელოვნება												
	ზოგადი ენათმეცნიერება												
<b>სპეციალიზაციის არჩევითი მოდულები (105 კრედიტი)</b>													
1	<b>სპეციალიზაცია: არაბისტიკა</b>												
1.1	არაბული ენა 1	6	0.6.0	10		10							
1.2	არაბული ენა 2	6	0.6.0	10			10						
1.3	არაბული ენა 3	6	0.6.0	10				10					
1.4	არაბული ენა 4	6	0.6.0	10					10				
1.5	არაბული ენა 5	6	0.6.0	10						10			
1.6	არაბული ენა 6	6	2.0.4	10							10		
1.7	სემიტურ ენათა შესწავლის შესავალი	3	2.0.1	5		5							
1.8	თარგმანის თეორია და პრაქტიკა	2	1.0.1	5						5			
1.9	სათარჯიმნო პრაქტიკუმი	4	0.4.0	5								5	
1.10	არაბული ლიტერატურის ისტორია 1	3	2.0.1	5						5			

1.11	არაბული ლიტერატურის ისტორია 2	4	2.0.2	5					5			
1.12	არაბული ლიტერატურის ისტორია 3	3	2.0.1	5						5		
1.13	არაბული ლიტერატურის ისტორია 4	3	2.0.1	5							5	
1.14	არაბული ქვეყნების ისტორია 1	3	2.0.1	5		5						
1.15	არაბული ქვეყნების ისტორია 2	3	2.0.1	5			5					
	<b>სპეციალიზაცია: თურქოლოგია</b>											
1.1	თურქული ენა 1	6	0.6.0	10		10						
1.2	თურქული ენა 2	6	0.6.0	10			10					
1.3	თურქული ენა 3	6	0.6.0	10				10				
1.4	თურქული ენა 4	6	0.6.0	10					10			
1.5	თურქული ენა 5	6	0.6.0	10						10		
1.6	თურქული ენა 6	6	2.0.4	10							10	
1.7	თურქულ ენათა შესწავლის შესავალი	3	2.0.1	5		5						
1.8	თარგმანის თეორია და პრაქტიკა	2	1.0.1	5						5		
1.9	სათარჯიმნო პრაქტიკუმი	4	0.4.0	5								5
1.10	თურქული ლიტერატურის ისტორია 1	3	2.0.1	5					5			
1.11	თურქული ლიტერატურის ისტორია 2	4	2.0.2	5						5		
1.12	თურქული ლიტერატურის ისტორია 3	3	2.0.1	5							5	
1.13	თურქული ლიტერატურის ისტორია 4	3	2.0.1	5								5
1.14	თურქეთის ისტორია 1	3	2.0.1	5		5						
1.15	თურქეთის ისტორია 2	3	2.0.1	5			5					
	<b>სპეციალიზაცია: ირანისტიკა</b>											
1.1	სპარსული ენა 1	6	0.6.0	10		10						
1.2	სპარსული ენა 2	6	0.6.0	10			10					
1.3	სპარსული ენა 3	6	0.6.0	10				10				
1.4	სპარსული ენა 4	6	0.6.0	10					10			
1.5	სპარსული ენა 5	6	0.6.0	10						10		
1.6	სპარსული ენა 6	6	2.0.4	10							10	
1.7	ირანულ ენათა შესწავლის შესავალი	3	2.0.1	5		5						
1.8	თარგმანის თეორია და პრაქტიკა	2	1.0.1	5						5		
1.9	სათარჯიმნო პრაქტიკუმი	4	0.4.0	5								5

1.10	სპარსული ლიტერატურის ისტორია 1	3	2.0.1	5					5				
1.11	სპარსული ლიტერატურის ისტორია 2	4	2.0.2	5					5				
1.12	სპარსული ლიტერატურის ისტორია 3	3	2.0.1	5						5			
1.13	სპარსული ლიტერატურის ისტორია 4	3	2.0.1	5							5		
1.14	ირანის ისტორია 1	3	2.0.1	5		5							
1.15	ირანის ისტორია 2	3	2.0.1	5			5						
	თავისუფალი კრედიტები	3		10							5	5	
<b>დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები</b>				<b>60</b>			<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	
	<b>სულ</b>			<b>240</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში ლ/პ/ს/ლაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული

## 7. სასწავლო კურსების ანოტაციები

### საფაკულტეტო სავალდებულო კურსები ( 20 კრედიტი)

კურსის კოდი: SFB0500

კურსის დასახელება: **ფილოსოფიის შესავალი** (5კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კულტურის, რელიგიის, ფილოსოფიის პრობლემატიკა, აზროვნების ზოგადი კანონზომიერებები, შემეცნების თეორია, ღირებულებების, რწმენის, თავისუფლების საკითხები. ანტიკური ფილოსოფიის მიმოხილვა, შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის იდეალები, მეცნიერული პროგრესის იდეა ახალ დროში, თანამედროვე აზროვნება და პოსტმოდერნული სიტუაციის ანალიზი.

კურსის კოდი: HLB0110

კურსის დასახელება: **ენათმეცნიერების შესავალი** (5 კრედიტი).

ენათმეცნიერების შესავლის კურსი იკითხება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის პირველ წელს. კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები, ჩამოუყალიბოს დისციპლინისათვის არსებითი ტერმინოლოგიური ბაზა, შეასწავლოს ენათმეცნიერების ყველა დარგის საფუძვლები. კურსი გულისხმობს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს.

კურსის კოდი: HGB0230

კურსის დასახელება: **ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი** (5 კრედიტი).

ლიტერატურისმცოდნეობის შესავლის კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ლიტერატურისმცოდნეობის პროპედევტიკა, ლიტერატურისმცოდნეობა და მისი ძირითადი დარგები, მონათესავე და დამხმარე დისციპლინები, პოეტიკის განვითარების ეტაპები; ლიტერატურა და ხელოვნება; ხელოვნების დარგები; ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი და ფორმა; თემა, იდეა, მიზამდასახულობა; ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიცია და სიუჟეტი; პერსონაჟთა კლასიფიკაცია; ადამიანთა სახეები გამოსახვის მეთოდის მიხედვით; მხატვრულ სახეთა შექმნის საშუალებები. დახასიათების სახეები; მწერლის ენა და პერსონაჟის ენა, პოეტური ლექსიკა, ტროპის სახეები, პოეტური სინტაქსის ფიგურები; ლექსი და პროზა (განსხვავება). რითმა და მისი სახეები; ლექსის მთავარი ზომები (ტერფის სახეები). ლექსთწყობის სისტემები. ლექსის მთავარი სქემები (ქართული, ევროპული, აღმოსავლური). ლიტერატურის გვარებად და ჟანრებად ჩამოყალიბება: ეპიკური, ლირიკული და დრამატული ჟანრები.

კურსის კოდი: HAB0390

კურსის დასახელება: **კლასიკური ფილოლოგია** (5 კრედიტი).

კურსის მიზანია ანტიკური ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა ანტიკურობის ინტელექტუალურ და სოციალურ კონტექსტში, ლათინური ენის შესწავლა, მისი ფორმირებისა და განვითარების ძირითადი ეტაპების განხილვა ინდოევროპული ენათმეცნიერების ჭრილში, ანტიკური კულტურის, როგორც ევროპული და გარკვეულწილად, თანამედროვე მსოფლიო კულტურის განხილვა კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით. ჟანრის ფორმირებისა და განვითარების კანონზომიერებისა თუ თავისებურებების ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება

დაეთმობა ჰომეროსის, ჰესიოდეს, აპოლონიოს როდოსელის, ვირგილიუსის, ოვიდიუსის, საფოს და სხვათა შემოქმედებას, ანტიკური და პოსტანტიკური კონცეფციების შედარებით განხილვას.

### **საფაკულტეტო არჩევითი კურსი I (5 კრედიტი) (შესავალი კურსები)**

კურსის კოდი: HAB0380

კურსის დასახელება: **შესავალი არქეოლოგიაში (5 კრედიტი).**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არქეოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი (საგანი, მიზანი და ამოცანები); ხელოვნების ძეგლთა და სიძველეთა დაგროვება-კოლექციონირება; არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვა და სამუზეუმო კოლექციები; ნივთიერი კულტურა-არქეოლოგიის ძირითადი წყარო (კერამიკა, ლითონები, მინა, ქვა...); არქეოლოგია თანამედროვე მეცნიერებათა სისტემაში; არქეოლოგია და დამხმარე დისციპლინები (ნუმისმატიკა, ეპიგრაფიკა, გლიპტიკა); ეთნოარქეოლოგიური კვლევა; არქეოლოგია და ჰუმანიტარული მეცნიერებები (კლასიკური ფილოლოგია; ისტორია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნების და კულტურის ისტორია); არქეოლოგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (პალეოანთროპოლოგია, პალეობოტანიკა, პალეობიოლოგია, პალეოეკოლოგია); არქეოლოგია და სინფორმაციო ტექნოლოგიები; წერილობითი წყაროები და არქეოლოგია; არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია; კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

კურსის კოდი: HIB0791

კურსის დასახელება: **შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის და ისტორიის ცნება; აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესწავლის საგანი და მიზნები; სემიტოლოგიის, თურქოლოგიისა და ირანისტიკის სკოლების ტრადიციები საქართველოში; აღმოსავლური ფილოლოგიისა და ისტორიის კვლევის ძირითადი მიმართულებები და მათი შესწავლის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის. მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ძირითადი ლიტერატურული ტენდენციები; ქართულ-აღმოსავლური ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების საკითხები.

კურსის კოდი: HLB0541

კურსის დასახელება: **შესავალი ქართულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი).**

კურსი შედგება ორი ნაწილისაგან: შესავალი ქართულ ენაში და შესავალი ქართულ ლიტერატურაში. ქართული ლიტერატურის პროპედევტიკულ კურსში სტუდენტებს ლექციები წაეკითხებათ შემდეგ საკითხებზე: ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი პერიოდები და ძირითადი ტენდენციები უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, „ვეფხისტყაოსნის“ როლისა და ადგილისათვის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, ლიტერატურული დაჯგუფებანი და ძირითადი მიმდინარეობანი ქართულ მწერლობაში, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედება, ქართული კულტურისა და მწიგნობრობის კერები საქართველოსა და უცხოეთში... აღნიშნული საკითხები შესწავლილ იქნება მსოფლიო ლიტერატურის შესაბამის მოვლენებთან კონტექსტში. კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს სასკოლო განათლება.

კურსის მეორე ნაწილი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები.

კურსის კოდი: HEB0241

**შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; ინგლისური ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები; ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი ასპექტები, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების ზოგადი აღწერილობა მოდულური სწავლების სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით: თითოეული ასპექტისა და ინგლისური ენის გრამატიკის საფუძვლების აღწერა; ინგლისური ენის თეორიული კურსების მიზნებისა და ამოცანების ზოგადი დახასიათება; ინგლისურ ენაზე საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების მიხედვით საკურსო და სადიპლომო ნაშრომის შესრულების ტექნოლოგიების სწავლება; კურსის ასევე მიზნად ისახავს მიაწოდოს სტუდენტს ზოგადი ხასიათის ინფორმაცია ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ; გამოუმუშავოს მას ფილოლოგიის უნარ-ჩვევები (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HFB0511

**შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; გერმანული ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები; აღნიშნულ კურსში ისწავლება ცალკეული საკითხები გერმანული ენის მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან, ასევე შესასწავლი ენის ზოგიერთი მომენტი ენის ისტორიიდან: მაგ., გერმანული ენის წარმოშობის ისტორიული პირობები, გერმანიკულ ენათა ოჯახი, გერმანიკული ტომები, გერმანული დიალექტები, გერმანული ენის ეროვნული ვარიანტები, გერმანული ენის არსებობის ფორმები, საშუალო გერმანულის ზოგადი დახასიათება, ადრეული ახალი გერმანულის ზოგადი დახასიათება; ლიტერატურული ენის ფორმირების ძირითადი ეტაპები და ტენდენციები, საკითხები ენის ლექსიკური მარაგის შევსებისა და გამდიდრებისათვის.

ამასთანავე, კურსი სტუდენტს მიაწვდის ზოგადი ხასიათის ინფორმაციას გერმანული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ;

გამოუმუშავებს მას ფილოლოგიისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HFB0611

**კურსის დასახელება: შესავალი რომანულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი).**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; ფრანგული ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები;

აღნიშნულ კურსში ზოგადად ისწავლება ენის თეორიის საწყისი ცნებები ფრანგული ენის მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტური სისტემების ზოგადი დახასიათების საშუალებით. კურსის მიზანია აგრეთვე კურიკულუმით გათვალისწინებული შესასწავლი ენობრივი ასპექტების მიმოხილვა. შესავალი ფრანგულ ფილოლოგიაში ითვალისწინებს აგრეთვე სტუდენტისათვის ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მიწოდებას ფრანგული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ;

კურსის მიზანია, სტუდენტს ჩამოუყალიბოს ფილოლოგიის უნარ-ჩვევები (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HSB0361

კურსის დასახელება: **შესავალი სლავურ ფილოლოგიაში** (5 კრედიტი).

ფილოლოგიის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების განსაზღვრა. სლავური ფილოლოგიის სპეციფიკა და განვითარების ეტაპები. წამყვანი სკოლებისა და პერსონალიების დახასიათება. ლიტერატურის, როგორც მეცნიერებისა და სიტყვის ხელოვნების ადგილი რუსული კულტურის ისტორიაში.

შესავალი სლავურ ფილოლოგიაში (ენა) აცნობს სტუდენტებს სლავური ენების ადგილს სხვა ევროპულ ენებს შორის, აგრეთვე აძლევს წარმოდგენას მათ ფონეტიკური და გრამატიკული სპეციფიკის შესახებ.

კურსი ეყრდნობა სტუდენტის მიერ სკოლაში მიღებულ ცოდნას. მისი შესწავლა ხდება მომიჯნავე დისციპლინების - კლასიკური ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების შესავლის პარალელურად.

### **საფაკულტეტო არჩევითი კურსი II (ენები) (5 კრედიტი)**

კურსის კოდი: HEB0051

**ინგლისური ენა** (5 კრედიტი)

**კურსი მოიცავს ინგლისური ენის** ოთხივე ასპექტის – წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი – კომპლექსურ სწავლებას; გრამატიკული მასალა: სიტყვათწარმოების წესები, საყოველთაოდ მიღებული წერილობითი ნორმები, მოსმენილი მასალის აღქმა და ანალიზი, საუბრის დიალოგური და მონოლოგური ფორმით წარმართვა, კითხვითი ტიპის დავალებების შესრულება. ზეპირი და წერილი უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდების საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვა, სააუდიტორიო, კლასგარეშე და ინდივიდუალური შეთავსებითი ხასიათის მუშაობა, ჰენდაუტების, აუდიო-ვიდეო მასალების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენება.

კურსის კოდი: HFB0071

**გერმანული ენა** (5 კრედიტი)

კურსის სტატუსი არის არჩევითი და ეყრდნობა სასკოლო განათლებით მიღებულ უნარ-ჩვევებს. ენის შემსწავლელი უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას გერმანული ენის ზეპირ და წერილი მეტყველებაში. სწავლებისას კომპლექსურად ხდება სხვადასხვა უნარებზე მუშაობა, გრამატიკის საფუძვლების უცხო ენაზე თეორიულად და პრაქტიკულად დამუშავება, მარტივი აუტენტური დიალოგების მოსმენა და გაგება, წერილობით ელემენტარული ორთოგრაფიული ნორმების გაცნობა და მარტივი კარნახების შესრულება. კურსში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის ქვეყნისმცოდნეობითი მოკლე ინფორმაციების (კლიშეები, რეალიები) გაცნობა. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს ელემენტარული საუბარი, მარტივი, ადაპტირებული ტექსტის გაგება და დონის შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ტესტის შესრულება.

კურსის კოდი: HFB0341

კურსის დასახელება: **ფრანგული ენა** (5 კრედიტი).

კურსის სტატუსი არის არჩევითი და ეყრდნობა სასკოლო განათლებით მიღებულ უნარ-ჩვევებს. ენის შემსწავლელი უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას ფრანგული ენის ზეპირ და წერილი მეტყველებაში. სწავლებისას კომპლექსურად ხდება სხვადასხვა უნარებზე მუშაობა, გრამატიკის საფუძვლების უცხო ენაზე თეორიულად და პრაქტიკულად დამუშავება, მარტივი აუტენტური დიალოგების მოსმენა და გაგება, წერილობით ელემენტარული ორთოგრაფიული ნორმების გაცნობა და მარტივი კარნახების შესრულება. კურსში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის ქვეყნისმცოდნეობითი მოკლე ინფორმაციების (კლიშეები, რეალიები)

გაცნობა. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს ელემენტარული საუბარი, მარტივი, ადაპტირებული ტექსტის გაგება და დონის შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ტექსტის შესრულება.

**კურსის კოდი: HSB0291**

**კურსის დასახელება: რუსული ენა (5 კრედიტი).**

რუსული ენის სწავლების ლინგვისტურ კურსში სტუდენტის ლინგვისტურ გა მეთოდური დაოსტატების პროცესი მიზნად ისახავს დაეხმაროს სტუდენტს რუსული ზეპირი და წერიტი მეტყველების განვითარებასა და სრულყოფაში, ორთოგრაფიისა და ორთოეპიის სფეროში არსებული ცოდნის კორექტირებაში, გაღრმავებასა და აქტივიზაციაში. კურსში შესწავლილი იქნება: რუსული ენის ძირითადი ორთოგრაფიული ნორმები და მოხდება წერის დროს მათი სწორად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება; რუსული ენის ძირითადი ორთოეპიული ნორმები და ზეპირი მეტყველების დროს მათი სწორად გამოყენება; მოხდება რუსულ ენაზე მარტივი ტექსტების კითხვის, თარგმნის, გაგების, ანალიზის, გადმოცემის უნარის განვითარება

**კურსის კოდი: HIB0031**

**კურსის დასახელება: არაბული ენა (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს არაბული ანბანის, კალიგრაფიის ტექნიკის (ასოთა მოხაზულობა, გადაბმა და ა. შ.), დამატებითი ნიშნების, კითხვისა და წარმოთქმის წესების შესწავლას; უმარტივესი გახმოვნებული ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

**კურსის კოდი: HIB0021**

**კურსის დასახელება: თურქული ენა (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს თურქული ენის ანბანის, კითხვის და წარმოთქმის წესების შესწავლას, უმარტივესი ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

**კურსის კოდი: HIB0011**

**კურსის დასახელება: სპარსული ენა (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს არაბული ანბანის, კალიგრაფიის ტექნიკის (ასოთა მოხაზულობა, გადაბმა და ა. შ.), დამატებითი ნიშნების, კითხვისა და წარმოთქმის წესების შესწავლას; უმარტივესი გახმოვნებული ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

**კურსის კოდი: HLB0401**

**კურსის დასახელება: ქართული ენა უცხოელი სტუდენტებისათვის**

საგანი ხელს შეუწყობს არაქართველ სტუდენტთა (ან სპეციალისტთა) წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურის ჩამოყალიბება-ამაღლებას, დიალოგის წარმართვის, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მსჯელობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ქართული ენის შესაძლებლობების დაუფლებას, რაც ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული პიროვნების პროფესიონალიზმის საფუძველია.

საგანი ითვალისწინებს ქართველოლოგიის ზოგადი საკითხების, ქართული ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკური ფონდის, განსაკუთრებით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შესწავლას.

## **პროგრამის სავალდებულო კურსები**

### **კურსის კოდი: HIB0180**

#### **კურსის დასახელება: ისლამი (ისტორია, კულტურა, ცივილიზაცია) (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ისლამის წარმოშობის და მისი ძირითადი მიმდინარეობების ისტორიას. მუჰამედის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ყურანისა და შარიათის საკითხებს. ისლამურ დოგმატიკასა და კულტს, თეოლოგიურ-იურიდიული მაზჰაბების საკითხს; ისლამური ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარეობების ისტორიის საკითხებს; ისლამური ექსპანსიის პროცესში კულტურათა შერწყმა-შერევის საკითხებსა და ისლამის გავლენას შუა საუკუნეების ევროპულ ევროპულ კულტურაში; ისლამს, როგორც მსოფლიო რელიგიასა და მის იუდაისტურ-ქრისტიანულ საფუძვლებს, ასევე მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა მითოლოგიის პასაჟებისა და ქრისტიანული სიუჟეტების ტრანსფორმირების საკითხებს ისლამში.

**კურსის შესწავლის წინაპირობა:** ფილოსოფიის შესავალი

### **კურსის კოდი: HIB0250**

#### **კურსის დასახელება: აღმოსავლური ფოლკლორი (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს მახლობელი აღმოსავლეთის სამყაროში შექმნილი მრავალსაუკუნოვანი ფოლკლორის შემდეგ თემებს: შუამდინარეთის, მცირე აზიის ძველი ხალხების, დასავლურსემიტური და სამხრეთსემიტური, თურქული მოდგმის ხალხების მითოლოგიასა და ფოლკლორის ზოგად კურსს.

**აღმოსავლური ფოლკლორის შესწავლის წინაპირობაა** კლასიკური ფილოლოგიის კურსის ათვისება.

### **კურსის კოდი: HIB0550**

#### **კურსის დასახელება: ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობა (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკური მოწყობის სისტემების, პოლიტიკური გეოგრაფიის, ახლო აღმოსავლეთის, ახლო აღმოსავლეთის მუსლიმურ საზოგადოებაში სოციალური დიფერენციაციის, ისლამური ფუნდამენტალიზმის, შარიათის არსისა და სამოქალაქო საზოგადოებაზე მისი გავლენის, რეგიონში ეთნო-კონფესიური კონფლიქტების ისტორიისა და პოლიტიკური პროცესების თანამედროვე გეოგრაფიული თავისებურებების საკითხების, ბუნებრივი გარემოსა და რესურსების შესწავლას.

**ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება:** 1. ისლამი (ისტორია, კულტურა, ცივილიზაცია), 2. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების (არაბული სამყარო / თურქეთი / ირანი) ისტორია 1 / 2.

### **კურსის კოდი: HLB0360**

#### **კურსის დასახელება: ქართული ენა (2.5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები.

### **კურსის კოდი: HGB0200**

#### **კურსის დასახელება: ქართული ლიტერატურა (2.5 კრედიტი)**

კურსის შესწავლა სტუდენტს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ქართული მწერლობის სამივე პერიოდის (ძველი, XIX და XX საუკუნეების) უმთავრეს პრობლემურ საკითხებზე. იგი მიიღებს არა მარტო სათანადო მეცნიერულ ინფორმაციას ზემოთქმულთან დაკავშირებით, არამედ მაღალ პროფესიულ დონეზეც გაერკვევა ქართული ლიტერატურის ისტორიის არსსა და ქართველი კლასიკოსი მწერლების შემოქმედების უმთავრეს პრობლემატიკაში, რაც გაანალიზებული იქნება ევროპული ლიტერატურის კონტექსტში.

## **პროგრამის არჩევითი კურსები (15 კრედიტი)**

**კურსის კოდი: HIB0061**

**საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების**

**ისტორიული ურთიერთობები (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს საქართველოს ურთიერთობას მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი პერიოდიდან: ასურეთის იმპერია, მიდია და აქემენიდური ირანი, ასევე საქართველოს ადგილს წინა აზიის ძველ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ყურადღება გამახვილდება საქართველოსა და სემიტური (ებრაული და არაბული) / თურქულ სამყაროებთან, ირანთან ურთიერთობებზე. ახლო აღმოსავლეთის რუკის ცვლილების კვალობაზე საქართველოს უწევდა მრავალმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები სახალიფოსთან, არაბულ საემიროებთან, სახანოებთან, ოტომანთა და სეფიანთა იმპერიებთან. ისტორიული ურთიერთობების შედეგად შეიქმნა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროები, რისი გათვალისწინებაც შედეგინია აღნიშნული კურსის პროგრამა.

**კურსის კოდი: HIB0081**

**ისლამური აღმოსავლეთის გენდერული საკითხები (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს თანამედროვე ისლამურ სამყაროში გენდერული თანასწორობის საკითხების კვლევის ისტორიას, ფემინისტური მოძრაობის ძირითადი მიმართულებების, ქალთა ორგანიზაციებისა და მოდერნისტულ ისლამში გენდერული პრობლემების საკითხებს; ისტორიული მასალიდან გამომდინარე განიხილება ქალის მდგომარეობა საზოგადოებასა და ოჯახში; მათი უფლებები სამართლებრივი თვალსაზრისით; მუსლიმ იდეოლოგთა თვალსაზრისი გენდერული თანასწორობის საკითხთან დაკავშირებით.

**კურსის კოდი: HIB0261**

**აღმოსავლური კულტურის ისტორია (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ძველი აღმოსავლეთის: 1. მესოპოტამიის, ეგვიპტისა და ირანის, ჩვ. წ. აღ.-მდე III-II ათასწლეულების წინა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის არასემიტური და არაინდოევროპული ცივილიზაციების კულტურების ისტორიის შესწავლას, 2. იუდეური, ზოროასტრული და ქრისტიანული კულტურის ისტორიის საკითხებს.

**კურსის კოდი: HIB0271**

**ქართულ-აღმოსავლური ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს 2 მიმართულებას: ა) ენობრივი: ქართულ ენაში აღმოსავლურ (სემიტურ, ირანულ და თურქულ) ნასესხობებს, მათი დამკვიდრების გზებსა და ეტიმოლოგიებს. ბ) ლიტერატურული: ქართულ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობები, რომელსაც ისტორიული კონტაქტების პრინციპი განსაზღვრავს, ორიგინალების ტექსტის დასადგენად ქართული მთარგმნელობითი ძეგლების მნიშვნელობის საკითხებს.

**კურსის შესწავლის წინაპირობა:** 1. აღმოსავლური (არაბული / თურქული / სპარსული) ენის 1 / 2 / 3, 2. ლიტმცოდნეობის შესავლის, 3. ქართული ენისა და 4. ქართული ლიტერატურის კურსების ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0331**

**დასავლურ-აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობები (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურაში ანტიკური ლიტერატურული ჟანრების შესვლის, აღმოსავლური სიუჟეტების გავრცელებისა და ტრანსფორმაციების საკითხებს დასავლურ ლიტერატურაში: რომანული ეპოსის კავშირებს აღმოსავლურ "კაისისა და ლაილის", "ვისისა და რამინის" ეპოსთან და სხვ. აღმოსავლური ლიტერატურული ძეგლების ევროპულ თარგმანებს; ევროპულ ლიტერატურაზე კლასიკური სპარსული და არაბული ლიტერატურის გავლენის საკითხებს; მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურაზე თანამედროვე ევროპული და ამერიკული ლიტერატურული

მიმდინარეობების ზეგავლენის, სიუჟეტური მორფოლოგიისა და თემატიკის ტიპოლოგიის საკითხებს.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა** ლიტმცოდნეობის შესავლის, კლასიკური ფილოლოგიის, აღმოსავლური ფოლკლორისა და ლიტერატურის ისტორიის კურსების ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0321**

**ისლამური აღმოსავლეთის ხელოვნება (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს რამდენიმე მიმართულებას: 1. შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთისა და მალრიბის ადგილობრივი ტრადიციების საფუძვლებზე ირანული და ბიზანტიური გავლენით ჩამოყალიბებული არქიტექტურის (სვეტებიან და გუმბათოვანი მენეთის; ომაელთა, აბასელთა, სამანელთა, სელჩუკთა და მონღოლთა ხანის სამოქალაქო ხასიათის ნაგებობების სტილის; ისპაანის და შირაზის გვიანი შუა საუკუნეების ხელოვნების განვითარების თავისებურებებისა და ოსმალური პერიოდის სტამბოლის არქიტექტურის), 2. სახვითი ხელოვნების: მინიატურის (საკუთრივ მინიატურა, წიგნის მინიატურა და მოზაიკური მინიატურა), აღმოსავლურ დკარაციულ ხელოვნებასთან ყველა კუთხისათვის თავისებური, მაგრამ ერთიანი კანონზომიერებით დაკავშირებული უმდიდრესი ორნამენტის, არაბესკის, ეპიგრაფიკული ორნამენტის, ორნამენტური კერამიკის (რაკასა და სამარაში) შესწავლას. 3. ბერძნული მუსიკის თეორიის საფუძველზე, სპარსული და ბიზანტიური მელოდიკის გავლენით შექმნილი მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა მუსიკის, საკრავების, ყვავილოვანი მელოზმატიკისა და დიატონიკის საკითხებს.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა** ისლამის (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია) კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HLB0161**

**ზოგადი ენათმეცნიერება (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ორ სფეროს: ენათმეცნიერების ისტორიისა და ენათმეცნიერების თეორიის საკითხებს. გათვალისწინებულია ყველა ძირითადი საენათმეცნიერო სკოლისა და თეორიული მიმდინარეობების დებულებების გაცნობა. ამსთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენათა შესწავლისა და აღწერის მეთოდების დაუფლებასა და პრაქტიკულ აპრობაციას, ასევე ძირითადი სამეცნიერო პუბლიკაციების დამუშავებას.

**სპეციალიზაცია: არაბისტიკა**

**კურსის კოდი: HIB0090**

**კურსის დასახელება: არაბული ენა 1 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ენის პრაქტიკულ მასალასა და შესაბამის გრამატიკულ საკითხებს ლექსიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში იმ დონეზე, რომ სტუდენტმა შეძლოს ფონემათა სწორი წარმოთქმა, მახვილის სწორი გამოყენება, შესწავლილი სიტყვების გამართული წარმოთქმა და გამოყენება, მათი ორთოგრაფიულად გამართული დაწერა და წარმოთქმის ჩვევის ჩამოყალიბება, ელემენტარული ტექსტების ლექსიკონის გამოყენებით თარგმნა, მათი მოსმენით შინაარსის აღქმა და გაგება. ამისათვის გათვალისწინებულია კემბრიჯისა და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტებში აპრობირებული სპეციალური სახელმძღვანელოები. კურსი გულისხმობს ენის საბაზისო-ელემენტარული ცოდნის შეძენას.

**კურსის კოდი: HIB0190**

**არაბული ენა 2 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ენის ზეპირი და წერიტი მეტყველების, გრამატიკის საფუძვლებს: მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის სფეროში; სასწავლო სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტების კითხვას, თარგმნას, შინაარსის გადმოცემას, ახალი ლექსიკის ათვისებას; ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებას, მარტივი დიალოგების წარმართვას. არაბული ენის ამ კურსით სრულდება ენის შესწავლის ელემენტარული დონე (კემბრიჯისა და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტების პროგრამის ანალოგიით).

**ამ პროგრამის დაძლევის წინაპირობაა** არაბული ენის I კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0280**

**არაბული ენა 3 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს მორფოლოგიის, ლექსიკის და სინტაქსის საკითხებს. ენობრივი მასალის პრაქტიკულად გამოყენების საშუალო სირთულის ტექსტების წაკითხვას, გაგებას, ტარგმნასა და შინაარსის გადმოცემას. კურსი გულისხმობს ენის ცოდნის საშუალო დონის ოპტიმიზაციას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა არაბული ენის 2 კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0330**

**არაბული ენა 4 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ენის საშუალო დონის კომპეტენციების მასალას, რითაც ფაქტობრივად სრულდება ენის საშუალო დონეზე შესწავლა: შესაბამის გრამატიკულ მასალას, არაბული სამყაროს კულტურის, ისტორიისა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ამსახველი საშუალო სირთულის კლასიკური და თანამედროვე არაბული ტექსტების თარგმნასა და შინაარსის გადმოცემას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა არაბული ენის 3 კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0390**

**არაბული ენა 5 (10 კრედიტი)**

არაბული ენის (5) კურსი (საშუალო / მაღალი დონე სტუდენტის შესაძლებლობის მიხედვით) მოიცავს ენის ზეპირ და წერით მეტყველებას, გრამატიკის, კერძოდ სინტაქსის საკითხებს. როგორც გრამატიკულ მასალასთან ერთად მიეწოდება ტექსტები (კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურა, პრესა) და სავარჯიშოები მასალის პრაქტიკული ათვისებისათვის. ლექსიკურ-გრამატიკული მასალა მიეწოდებული იქნება ისე, რომ სტუდენტმა მიიღოს ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს არაბული ენის შეგნებულ და ოპტიმალურ დაუფლებას და ენის საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოყენებას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა არაბული ენის 4 კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0480**

**არაბული ენა 6 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს არაბული ენის მაღალ დონეს, კერძოდ ჯორჯთაუნისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების პროგრამას (სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის საკითხების, ფრაზეოლოგიისა და იდომების დამუშავება), რისთვისაც პროგრამაში გათვალისწინებულია კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის, ისტორიოგრაფიული, პრესის ტექსტების დამუშავება.

კურსის მიზანია გამოუმუშავოს სტუდენტს მყარი უნარ-ჩვევები სწორი მეტყველებისათვის და მოახდინოს ამ უნარჩვევათა ავტომატიზირება.

ენის ამ ეტაპის შესწავლის წინაპირობაა არაბული ენის 5 კურსის ათვისება

**კურსის კოდი: HIB0100**

**სემიტურ ენათა შესწავლის შესავალი (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს სემიტოლოგიური ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტების, განვითარების ტენდენციების, პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივების გაცნობას. საგანგებო ყურადღება გამახვილდება სემიტური მოდგმის ხალხთა მიგრაციის და სემიტური ენების ისტორიული განფენილობის საკითხებზე; სემიტური ენების უძველესი წერილობით ძეგლებზე; არაბული ენის (ჩრდილოეთარაბული) ადგილზე სემიტურ ენათა ოჯახში; სემიტური ენების შესწავლის ისტორიასა და საქართველოს ურთიერთობას სემიტური მოდგმის ხალხებთან.

**კურსის კოდი: HIB0340**

**არაბული ლიტერატურის ისტორია 1 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს არაბული ლიტერატურის ჩასახვისა და განვითარების ეტაპებისა და ლიტერატურული პროცესების შესწავლას. არაბული ლიტერატურის პერიოდიზაციის, წყაროების, ისლამამდელი ხანის პოეზიის ხასიათის, მოტივების, ლექსოწერების საკითხებსა და ტიპოლოგიურ პარალელებს.

**კურსის კოდი: HIB0410**

**არაბული ლიტერატურის ისტორია 2 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს მართმორწმუნე ხალიფებისა და ომაელთა ეპოქის ლიტერატურულ პროცესებსა და ტენდენციებს, ისლამის წარმოშობის საკითხებს, ყურანს როგორც ლიტერატურულ ძეგლს; უზრიული და ქალაქური პოეზიის წარმოშობასა და განვითარებას. იბნ ზუჰაირის და იბნ საბითის პოეზიას; ბედუინურ ლირიკას: ჯამილ იბნ მარის, ლეილა ალ-აჰილიას შემოქმედება; ბინადარი მოსახლეობის ლიტერატურას: ომარ იბნ აბუ რაბია, ალ-ვალიდ იბნ იაზიდ; პოლიტიკურ პოეზიას: ალ-ახტალი, ალ-ფარაზდაკი, ჯარირი. ომაელთა ეპოქის მხატვრულ პროზას: ე. წ. მცირე პროზა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა არაბული ლიტერატურის ისტორიის (1) კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0490**

**არაბული ლიტერატურის ისტორია 3 (5 კრედიტი)**

კურსი მიცავს აბასელთა პერიოდის ლიტერატურას: აბასელთა პერიოდი აღმოსავლეთში (750-1258): ტრადიციული ლიტერატურა: აბუ თამამი, ალ-ბუჰთური, იბნ არ-რუმი, ალ-ჯაჰიზი; კლასიკოსები: ალ-მუთანაბი, აბუ ალა ალ-მარრი, იბნ ალ-ფარიდი; ეპისტოლარული ჟანრი; „ათას ერთი ღამე“, მაკამები: ალ-ჰამადანი, ალ-ჰარირი; აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისფაჰანი და სხვ.

2. ესპანური (აბასელთა ლიტერატურა დასავლეთში 710-1492): არაბულ-ესპანური პოეზია: მუვაშშაჰა; იბნ ზეიდუნი; არაბულ-ესპანური პროზა; არაბული ფილოსოფიური ლიტერატურის განვითარების საკითხებს და სხვ. დაცემის (მონღოლთა და თურქთა ექსპანსიის 1258-1798) ხანის ლიტერატურას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა არაბული ლიტერატურის ისტორიის (2) კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0570**

**არაბული ლიტერატურის ისტორია 4 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ახალი არაბული ლიტერატურის პროცესებსა და ტენდენციებს; არაბული განმანათლებლობის, ისტორიული რომანისა და დრამის განვითარების საკითხებს, რომანტიზმს არაბულ ლიტერატურაში, სირიულ-ამერიკული სკოლისა და ეგვიტური მოდერნიზმის ლიტერატურას; თანამედროვე არაბული რომანის პოეტიკისა (ნაჯიბ მაჰფუზი, ბაჰა ტაჰერი, მუჰამედ მუნირი და სხვ.) და ნოველის (მაჰმუდ და მუჰამედ თეიმურები, იუსუფ იდრისი და სხვ.) საკითხებს; ახალ მიმართულებებს თანამედროვე არაბულ პოეზიაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა არაბული ლიტერატურის ისტორიის (3) კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0110**

**არაბული ქვეყნების ისტორია 1 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს არაბული სამყაროს ისტორიის პერიოდიზაციის, კულტურული ჰეგემონიზაციის ხანის (ისლამური პერიოდი) საკითხებს; ისლამამდელი, მართლმორწმუნე ხალიფების, ომაელთა, აბასელთა და დაცემის ხანის ისტორიული პროცესების შესწავლას; არაბული სახალიფოს ჩამოყალიბების, განვითარების, სტრუქტურის, ადმინისტრაციული დაყოფის, ექსპანსიის და დაშლის, არაბული სამყაროს გეოგრაფიულ და სოციალურ-კულტურულ საკითხებს.

**კურსის კოდი: HIB0200**

**არაბული ქვეყნების ისტორია 2 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს იმ სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესწავლას, რომელიც არაბულ ქვეყნებში შეიქმნა დასავლეთის სახელმწიფოების კოლონიური ექსპანსიის შედეგად. XIX ს-ში დაიწყო არაბული ქვეყნების გააქტიურება მსოფლიო პოლიტიკურ სდარბიელზე. მოგვიანებით, მთელ რიგ არაბულ ქვეყნებში ნავთობისა და გაზის აღმოჩენამ, მათი რაციონალური ექსპლუატაციისა და უტილიზაციის სტრატეგიამ კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა არაბული სამყარო თავისი მრავალმხრივი პოლიტიკურ-კულტურულ-რელიგიური კონტექსტით საერთაშორისო არენაზე.

კურსის შესწავლის წინაპირობაა არაბული ქვეყნების ისტორიის წინა კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0430**

**თარგმანის თეორია და პრაქტიკა (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს თარგმანის თეორიის ზოგად ასპექტებს და ტენდენციებს ისე, რომ თეორიული ცოდნა შემდგომში პრაქტიკული საქმიანობის საყრდენად იქცეს. ყურადღება ექცევა ქართული და არაბული ენების სტრუქტურულ ანალიზს, რთული გრამატიკული კატეგორიების შესატყვისობების დადგენას. ლექსიკის გაფართოებასა და აქტივიზაციას. არაბულიდან ქართულად და პირიქით ნათარგმნ მხატვრულ ლიტერატურას. თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლის წინაპირობაა ქართული ენის, არაბული ენის IV და V კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0600**

**სათარჯიმნო პრაქტიკუმი (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს თანამედროვე არაბული პრესის სხვადასხვა თემატიკას (პოლიტიკური პრესა, ეკონომიკა, კონფლიქტები, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულება); ზეპირ თარგმანს არაბულიდან ქართულად და პირიქით; მოსმენას, მოსმენილის გადმოცემას; საკვანძო სიტყვების ფიქსაციას ზეპირი თარგმნისას. სათარჯიმნო პრაქტიკუმი მიზნად ისახავს სტუდენტთა ამტკიცებლას როგორც სალიტერატურო, ისე სასაუბრო ენაზე. შესაბამისი უნარ-ჩვევების ათვისებისა და გამომუშავების წინაპირობა არაბული ენის სრული კურსის დაძლევაა.

**სპეციალიზაცია: თურქოლოგია**

**კურსის კოდი: HIB0120**

**თურქული ენა 1 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ენის პრაქტიკულ მასალასა და შესაბამის გრამატიკულ საკითხებს ლექსიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში იმ დონეზე, რომ სტუდენტმა შეძლოს ფონემათა სწორი წარმოთქმა, მახვილის სწორი გამოყენება, შესწავლილი სიტყვების გამართული წარმოთქმა და გამოყენება, მათი ორთოგრაფიულად გამართული დაწერა და წარმოთქმის ჩვევის ჩამოყალიბება, ელემენტარული ტექსტების ლექსიკონის გამოყენებით თარგმნა, მათი მოსმენით შინაარსის აღქმა, გაგება და გადმოცემა. კურსი გულისხმობს ენის საბაზისო-ელემენტარულ ცოდნას.

**კურსის კოდი: HIB0210**

**თურქული ენა 2 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ენის ზეპირ და წერით მეტყველებას, გრამატიკის საფუძვლებს: მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის სფეროში; სასწავლო სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტების კითხვას, თარგმანს, შინაარსის გადმოცემას, ახალი ლექსიკის ათვისებას; ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებას, მარტივი დიალოგების წარმართვას. ფაქტობრივად თურქული ენის ამ კურსით სრულდება ენის შესწავლის ელემენტარული დონე ამ პროგრამის დაძლევის წინაპირობაა თურქული ენის I კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0290**

**თურქული ენა 3 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის საკითხებს. ენობრივი მასალის პრაქტიკულად გამოყენებით საშუალო სირთულის ტექსტების წაკითხვას, გაგებას, თარგმნასა და შინაარსის გადმოცემას. კურსი გულისხმობს ენის ცოდნის ოპტიმიზაციას საშუალო დონეზე. კურსის შესწავლის წინაპირობაა თურქული ენის 2 კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0350**

**თურქული ენა 4 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ენის საშუალო დონის კომპეტენციების მასალას, რითაც ფაქტობრივად სრულდება ენის საშუალო დონეზე შესწავლა: შესაბამისი გრამატიკულ მასალას, თურქეთის

კულტურის, ისტორიისა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ამსახველი ტექსტების თარგმნასა და შინაარსის გადმოცემას.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა** თურქული ენის 3 კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0420**

**თურქული ენა 5 (10 კრედიტი)**

თურქული ენის (5) კურსი (საშუალო / მაღალი დონე სტუდენტის შესაძლებლობის მიხედვით) მოიცავს ენის ზეპირ და წერით მეტყველებას, გრამატიკის, კერძოდ სინტაქსის საკითხებს. ამ მასალის საფუძველზე სტუდენტს გამოუმუშავდება კითხვის, წერისა და ზეპირი მეტყველების ჩვევა. გრამატიკულ მასალასთან ერთად მიეწოდება ტექსტები და სავარჯიშოები მასალის პრაქტიკული ათვისებისათვის. ლექსიკურ-გრამატიკული მასალა მიეწოდებული იქნება ისე, რომ სტუდენტმა მიიღოს ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს თურქული ენის შეგნებულ და ოპტიმალურ დაუფლებას და ენის საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოყენებას. **კურსის შესწავლის წინაპირობაა** არაბული ენის 4 კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0500**

**თურქული ენა 6 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს თურქული ენის მაღალ დონეს, კერძოდ სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის საკითხების, ფრაზოლოგიზმებისა და იდომების დამუშავებას, რისთვისაც პროგრამაში გათვალისწინებულია კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიული ტექსტების დამუშავება.

კურსის მიზანია გვამოუმუშავის სტუდენტს მყარი უნარ-ჩვევები სწორი მეტყველებისათვის და მოახდინოს ამ უნარჩვევათა ავტომატიზირება.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა** თურქული ენის 5 კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0130**

**თურქულ ენათა შესწავლის შესავალი (5 კრედიტი)**

კურსის მოიცავს თურქოლოგიური ენათმეცნიერების ძირითად ასპექტებს, განვითარების ტენდენციებს, პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივებს. საგანგებო ყურადღება გამახვილდება თურქული მოდგმის ხალხთა მიგრაციის და თურქული ენების ისტორიული განფენილობის საკითხებზე; თურქული ენების უძველესი წერილობით ძეგლებზე; თურქული ენის ადგილზე ალთაურ ენათა ოჯახში; თურქული ენების შესწავლის ისტორიას.

**კურსის კოდი: HIB0360**

**თურქული ლიტერატურის ისტორია 1 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს თურქული ლიტერატურის ჩამოყალიბების საკითხებს, რომელიც უკავშირდება თურქული ტომების გამოჩენასა და დამკვიდრებას მცირე აზიაში. საწყის ეტაპზე იგი წარმოდგენილი იყო მდიდარი თურქული ფოლკლორით, რომელიც თურქული მოდგმის ხალხების ცენტრალურ აზიასა და ციმბირში განსახლების პერიოდთან ჩამოყალიბდა: ქოროლის საგმირო ხალხური თქმულებების ციკლს: არაბულ-სპარსული ზეგავლენით შექმნილ ლიტერატურას. დამწერლობითი ლიტერატურის ჩასახვას XIV საუკუნიდან თურქ-სელჩუკებში. შუა საუკუნეების თურქულენოვანი ზეპირსიტყვიერების შესანიშნავი ნიმუშის “Kitab-ı Dedem Korkut” პაპაჩემი ქორქუთისა) გაცნობასა და მისი ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობის გააზრებას. სპარსულენოვანი ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლის ჯელალ-ედ-დინ რუმის ცხოვრებასა და შემოქმედებას. რუჰი ბაღდადის, ისა ნეჯათის, იუნუს ემრეს, აშიკ ფაშასა და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებას.

**კურსის კოდი: HIB0440**

**თურქული ლიტერატურის ისტორია 2 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს თურქული ლიტერატურის ისტორიას თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკურ ხენიგში ყოფნისას, ე.წ. თურქული პოეზიის “ოქროს ხანა”. თურქული პოეზიის მეტრის მაჰმუდ აბდულ ბააკის (1526-1600), ომერ ნეფის (1580-1635), იზეთ მოლას (1785-1829) და ვასიფ ენდეროდლუს ( 17 -1824) ცხოვრებასა და შემოქმედებას. შეისწავლება ამ პერიოდის

თურქული ლექსის ტექნიკა, თემა, სახეები, თურქული ლირიკის დაცემის ხანა ე. წ. "ტექნიკური პოეზია" – "ლულაზი", "მუამა", "თარიღი" და ა. შ.

კურსი ასევე მოიცავს, თურქული ლიტერატურის რეფორმების ე. წ. "თანზიმათის" პერიოდს, როდესაც საფუძველი ეყრება პერიოდული პრესის გამოცემასა და ენობრივ რეფორმას. ნამიქ ქემალის, იბრაჰიმ შანასის, შამსიდინ სამის, აჰმედ მიღვათ ფაშას და სხვათა შემოქმედებას.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა თურქული ლიტერატურის ისტორიის (1) ათვისება.**

**კურსის კოდი: HIB0510**

**თურქული ლიტერატურის ისტორია 3 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს თურქული ლიტერატურული ჟანრების განვითარებისა და პოეტიკის საკითხებს. ე. წ. "სერვეთი ფუნუნის" ლიტერატურას: ჯენაბ შეჰაბედინი, ჯალალ საჰირი, ფაიქ ალი; პროზაიკოსები: ჰალიდ ზია უშაქლიოღლი, მეჰდი რაუფი და სხვ. ყურადღება გამახვილდება ასევე პოეზიაში დემოკრატიული მიმდინარეობების ჩამოყალიბებაზე. კურსი მოიცავს ასევე, "ახალგაზრდა თურქთა" 1908 წლის რევოლუციის პერიოდსა და მის გავლენას იმ პერიოდის თურქულ ლიტერატურაზე. განხილული იქნება მე-20 საუკუნის დასაწყისის ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობანი, ახალი თურქული ნოველის ფუძემდებლის ომერ სეიფედინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა თურქული ლიტერატურის ისტორიის (2) ათვისება**

**კურსის კოდი: HIB0590**

**თურქული ლიტერატურის ისტორია 4 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს XX ს-ის თურქულ ლიტერატურას. შესწავლილი იქნება ახალი ეტაპი თურქული რომანის განვითარებაში - რეშად ნური გუნთექინის, ორჰან ქემალის, იაშარ ქემალის ცხოვრება და მოღვაწეობა. თურქული პოეზიის ახალი ეტაპი – ნაზიმ ჰიქმეთის პოეტური და პუბლიცისტური მოღვაწეობა. XX ს-ის უდიდესი თურქი ნოველისტების აზიზ ნესინის, საბაჰათინ ალის შემოქმედებას, პოეტ ფაიზალ ჰუსლუს შემოქმედებასა და ორჰან ფაშუქის რომანის პოეტიკის საკითხებს. დიდი თურქი ნოველისტის ჰალდუნ თანერის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა თურქული ლიტერატურის ისტორიის (3) ათვისება.**

**კურსის კოდი: HIB0140**

**თურქეთის ისტორია 1 (5 კრედიტი)**

თურქეთის ისტორია 1 კურსი მოიცავს თურქთა მიგრაციის და განსახლების პროცესებს; თურქ-სელჩუკთა და თურქ-ოსმალთა დასახლებას მცირე აზიაში და მათ ურთიერთობას საქართველოსთან; ოსმალეთის იმპერიის ისტორიას (XI-XIX ს-ის 30-იანი წლები) და იმპერიაში მიმდინარე ისტორიულ პროცესებს; ისლამის გავლენას თურქულ სამყაროზე.

**კურსის კოდი: HIB0220**

**თურქეთის ისტორია 2 (5 კრედიტი)**

თურქეთის ისტორია 2 კურსი მოიცავს ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე ევროპეიზაციის პროცესებს (XIX ს-ის 40-იანი წლები და XX ს.) სახელმწიფოსა და თურქული საზოგადოების ურთიერთობის ნორმებს; თურქეთის რესპუბლიკის შექმნასა და განვითარებას; პოლიტიკური პარტიების ბრძოლას ხელისუფლებისათვის; თურქეთის ინტეგრაციას ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსსა და ევროსაბჭოს სტრუქტურებში.

**თურქეთის ისტორია 2-ის შესწავლის წინაპირობაა თურქეთის ისტორია 1 კურსის ათვისება.**

**კურსის კოდი: HIB0400**

**თარგმანის თეორია და პრაქტიკა (5 კრედიტი)**

კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს თარგმანის თეორიის ზოგადი ასპექტები და ტენდენციები ისე, რომ თეორიული კურსი შემდგომში პრაქტიკული საქმიანობის საყრდენს წარმოადგენდეს. ყურადღება ექცევა ქართული და თურქული ენების სტრუქტურულ ანალიზს, რთული გრამატიკული კატეგორიების შესატყვისობების დადგენას. ლექსიკის გაფართოებასა და აქტივიზაციას. კურსი მიცავს: თურქულიდან ქართულად და პირიქით ნათარგმნ

მხატვრულ ლიტერატურას. კურსის შესწავლის წინაპირობაა ქართული ენის, თურქული ენის IV და V კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0560**

**სათარჯიმნო პრაქტიკუმი (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს თანამედროვე თურქული პრესის სხვადასხვა თემატიკას (პოლიტიკური პრესა, ეკონომიკა, კონფლიქტები, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულება); ზეპირ თარგმანს თურქულიდან ქართულად და პირიქით; მოსმენას, მოსმენილის გადმოცემას; საკვანძო სიტყვების ფიქსაციას ზეპირი თარგმნისას.

სათარჯიმნო პრაქტიკუმი მიზნად ისახავს სტუდენტთა ამეცვლელებას როგორც სალიტერატურო, ისე სასაუბრო ენაზე. შესაბამისი უნარ-ჩვევების ათვისებისა და გამოიმუშავების წინაპირობაა თურქული ენის სრული კურსის დაძლევა.

**სპეციალიზაცია: ირანისტიკა**

**კურსის კოდი: HIB0150**

**სპარსული ენა 1 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ენის პრაქტიკულ მასალასა და შესაბამის გრამატიკულ საკითხებს ლექსიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში იმ დონეზე, რომ სტუდენტმა შეძლოს ფონემათა სწორი წარმოთქმა, მახვილის სწორი გამოყენება, შესწავლილი სიტყვების გამართული წარმოთქმა და გამოყენება, მათი ორთოგრაფიულად გამართული დაწერა და წარმოთქმის ჩვევის ჩამოყალიბება, ელემენტარული ტექსტების ლექსიკონის გამოყენებით თარგმნა, მათი მოსმენით შინაარსის აღქმა, გაგება და გადმოცემა. ამისათვის გათვალისწინებულია კემბრიჯისა და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტებში აპრობირებული სპეციალური სახელმძღვანელოები. კურსი გულისხმობს ენის საბაზისო-ელემენტარულ ცოდნას.

**კურსის კოდი: HIB0230**

**სპარსული ენა 2 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ენის ზეპირ და წერით მეტყველებას, გრამატიკის საფუძვლებს: მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის სფეროში; სასწავლო სახელმძღვანელოებში მოცემული ტექსტების კითხვას, თარგმანს, შინაარსის გადმოცემას, ახალი ლექსიკის ათვისებას; ლექსიკურ-გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებას, მარტივი დიალოგების წარმართვას. ფაქტობრივად სპარსული ენის ამ კურსით სრულდება ენის შესწავლის ელემენტარული დონე

ამ პროგრამის დაძლევის წინაპირობაა სპარსული ენის (1) კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0300**

**სპარსული ენა 3 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის საკითხებს. ენობრივი მასალის პრაქტიკულად გამოყენებით საშუალო სირთულის ტექსტების წაკითხვას, გაგებას, თარგმნასა და შინაარსის გადმოცემას. კურსი გულისხმობს ენის ცოდნის ოპტიმიზაციას საშუალო დონეზე.

კურსის შესწავლის წინაპირობაა სპარსული ენის 2 კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0370**

**სპარსული ენა 4 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ენის საშუალო დონის კომპეტენციების მასალას, რითაც ფაქტობრივად სრულდება ენის საშუალო დონეზე შესწავლა: შესაბამის გრამატიკულ მასალას, ირანის კულტურის, ისტორიისა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ამსახველი კლასიკური და თანამედროვე სპარსული ტექსტების თარგმნასა და შინაარსის გადმოცემას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა სპარსული ენის 3 კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0450**

**სპარსული ენა 5 (10 კრედიტი)**

სპარსული ენის (5) კურსი (საშუალო / მაღალი დონე სტუდენტის შესაძლებლობის მიხედვით) მოიცავს ენის ზეპირ და წერით მეტყველებას, გრამატიკის, კერძოდ სინტაქსის საკითხებს. ამ მასალის საფუძველზე სტუდენტს გამოუმუშავდება კითხვის, წერისა და ზეპირი მეტყველების ჩვევა. გრამატიკულ მასალასთან ერთად მიეწოდება ტექსტები და სავარჯიშოები მასალის პრაქტიკული ათვისებისათვის. ლექსიკურ-გრამატიკული მასალა მიეწოდებული იქნება ისე, რომ სტუდენტმა მიიღოს ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს სპარსული ენის შეგნებულ და ოპტიმალურ დაუფლებას და ენის საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოყენებას. კურსის შესწავლის წინაპირობაა სპარსული ენის 4 კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0520**

**სპარსული ენა 6 (10 კრედიტი)**

კურსი მოიცავს სპარსული ენის მაღალ დონეს, კერძოდ სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის საკითხების, ფრაზეოლოგიზმებისა და იდომების დამუშავებას, რისთვისაც პროგრამაში გათვალისწინებულია კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიული ტექსტების დამუშავება.

კურსის მიზანია გამოუმუშავოს სტუდენტს მყარი უნარ-ჩვევები სწორი მეტყველებისათვის და მოახდინოს ამ უნარჩვევათა ავტომატიზირება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა სპარსული ენის 5 კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0160**

**ირანულ ენათა შესწავლის შესავალი (5 კრედიტი)**

კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს ირანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები, განვითარების ტენდენციები, პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივები. საგანგებო ყურადღება გამახვილდება ირანული მოდგმის ხალხთა მიგრაციის და ირანული ენების ისტორიული განფენილობის საკითხებზე; ირანული ენების უძველესი წერილობით ძეგლებზე; სპარსული ენის ადგილზე ინდო-ირანულ ენათა ოჯახში; ირანული ენების შესწავლის ისტორიასა და საქართველოს ურთიერთობას ირანული მოდგმის ხალხებთან.

**კურსის კოდი: HIB0380**

**სპარსული ლიტერატურის ისტორია 1 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ძველი ირანული ლიტერატურის ძეგლების გაცნობას. მათში შედის როგორც უძველესი ლიტერატურული ძეგლები, ასევე ეპიგრაფიკული ნუმუშები მაგ. ბეჰისტუნისა, ნაყში რუსტამის, პერსეპოლისის, კტეზიფონის სხვადასხვა პერიოდის წარწერები, რომლებშიც ნახსენებია, არა მხოლოდ ირანული სიერცისათვის დამახასიათებელი საკითხები.

**კურსის კოდი: HIB0470**

**სპარსული ლიტერატურის ისტორია 2 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს სასულიერო და საერო საშუალო სპარსული ლიტერატურულ ძეგლებს. მათი გაცნობით სტუდენტი შეისწავლის არა მარტო ირანული სინამდვილისათვის დამახასიათებელი სიუჟეტების შემცველ ძეგლებს, არამედ ამ პერიოდის სპარსული ლიტერატურისათვის დამახასიათებელია მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურიდან სიუჟეტური ნასესხობანი, რომლებიც ადაპტირებულნი არიან ირანულ ნიადაგზე.

კურსის შესწავლის წინაპირობაა სპარსული ლიტერატურის ისტორიის (1) ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0530**

**სპარსული ლიტერატურის ისტორია 3 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს ირანში ისლამის გავრცელების შედეგად წარმოქმნილი საზოგადოებრივ-კულტურული გარემოს გაცნობას, კლასიკურ სპარსულ ლიტერატურას: ფირდოუსი, ჰაფეზი, ომარ ხაიამი, საადი, ჯელალ ედ-დინ რუმი. IX საუკუნიდან იწყება ახალი სპარსული ენის ჩამოყალიბება და მასზე ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნა, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი იყო სპარსული სახოტბო ოდებითა და ყასიდებით. რამაც განაპირობა

შემდგომში ეპიკური ჟანრის დაბადება და აყვავება, ლირიკული ჟანრების გაფართოება: რობაი, ლაზალი.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა** სპარსული ლიტერატურის ისტორიის (2) ათვისება

**კურსის კოდი: HIB0610**

**სპარსული ლიტერატურის ისტორია 4 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს სპარსული ლიტერატურის ისტორიის პერიოდს ე. წ. დაცემის ხანიდან თანამედროვეობის ჩათვლით, სადაც სტუდენტი გაეცნობა თანამედროვე ლიტერატურული ჟანრების ფორმირების პროცესს, სადეჟე ჰედაიათის, ბოზორგ ალავის, მასუდ ფარზადის ნიომა იუშიჯის, ფორუდ ფაროხზადისა და სხვცათა შემოქმედებას. ირანის თანამედროვე ლიტერატურულ მიღწევებს.

**კურსის შესწავლის წინაპირობაა** სპარსული ლიტერატურის ისტორიის (3) ათვისება

**კურსის კოდი: HIB0170**

**ირანის ისტორია 1 (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს არიელების გამოჩენის ხანიდან (ძვ.წ. აღ-ის II ათასწლეულის I ნახევარი) იირანში არაბული ექსპანსიისა და ისლამის გავრცელების პერიოდს. ყურადღება გამახვილდება მიდიისა და მესოპოტამიის ურთიერთობაზე, რეგიონში ახალი იმპერატორული ძალის ჩამოყალიბებაზე. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან აქემენიდური ირანის ფორმირების საკითხს, სელეუკიდების სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და არშაკიდული და სასანური იმპერიების სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებს, მათ ურთიერთობას კავკასიისთან და ე. წ. მათ კავკასიურ პოლიტიკას, სასანური ირანის დაცემასა და ირანში ისლამის გავრცელებას.

**კურსის კოდი: HIB0240**

**ირანის ისტორია 2 (5 კრედიტი)**

კურსის მიზანია სტუდენტი გაეცნოს ირანში ისლამის გავრცელების შემდგომ პერიოდს, ირანში მიმდინარე ანტი არაბულ აჯანყებებს, პირველი ნაციონალური დინასტიების ჩამოყალიბებასა და სამანელთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინაპირობებს. კურსის ფარგლებში სტუდენტი მოისმენს სელჩუკთა, მონღოლურ, თემურელთა, შავბატკინანთა და თეთრბატკინანთა მმართველობის პერიოდებს ირანში, გაეცნობა სეფიანთა ირანის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ზენდთა, ყაჯართა მმართველობაში მოსვლასა და მათ სახელმწიფო პოლიტიკას, ასევე ირანის ურთიერთობას XIX საუკუნეში დასავლეთევროპის ქვეყნებთან, რუსეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ფეჰლეეთა საგვარეულოს სათავეში მოსვლასა და ისლამურ რევოლუციას

**კურსის კოდი: HIB0460**

**თარგმანის თეორია და პრაქტიკა (5 კრედიტი)**

კურსის მოიცავს თარგმანის თეორიის ზოგად ასპექტებსა და ტენდენციებს ისე, რომ თეორია შემდგომში პრაქტიკული საქმიანობის საყრდენად იქცეს. ყურადღება ექცევა ქართული და სპარსული ენების სტრუქტურულ ანალიზს, რთული გრამატიკული კატეგორიების შესატყვისობების დადგენას. ლექსიკის გაფართოებასა და აქტივიზაციას; სპარსულიდან ქართულად და პირიქით ნათარგმნ მხატვრულ ლიტერატურას. კურსის შესწავლის წინაპირობაა ქართული ენის, სპარსული ენის IV და V კურსის ათვისება.

**კურსის კოდი: HIB0580**

**სათარჯიმნო პრაქტიკა (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს თანამედროვე სპარსული პრესის სხვადასხვა თემატიკას (პოლიტიკური პრესა, ეკონომიკა, კონფლიქტები, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულება); ზეპირ თარგმანს სპარსულიდან ქართულად და პირიქით; მოსმენას, მოსმენილის გადმოცემას; საკვანძო სიტყვების ფიქსაციას ზეპირი თარგმნისას.

სათარჯიმნო პრაქტიკაში მიზნად ისახავს სტუდენტთა ამეცხველებას როგორც სალიტერატურო, ისე სასაუბრო ენაზე. შესაბამისი უნარ-ჩვევების ათვისებისა და გამოიმუშავების წინაპირობა სპარსული ენის სრული კურსის დაძლევაა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა 1. საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიული ურთიერთობების, 2. შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში, 3. სემიტურ / ირანულ / თურქულ ენათა შესწავლის შესავალი კურსების ათვისება.

## 8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.